ბაკურიანში პირველმა თოვლმა ზამთრის დადგომას დაასწრო. გვარიანადაც მოთოვა! დაბა და მისი შემოგარენი კარგა ხანია თეთრ საბურველშია გახვეული. ცხადია, პირველი მოთხილამურენიც დაუყოვნებლივ გამოჩნდნენ. ადგილობრივმა სპორტსმენებმა პარკის ფერდობებს, კოხტაგორას, იაგორას ველს მიაშურეს — პირველი ოფიციალური სტარტებისთვის გულდაგულ სამზადისს შეუდგნენ. გასულ კვირა-დღეს ამ წარმტაც აგარაკზე თბილისელი სტუმრებიც მოვიდნენ — დასვენების დღე აქ გაატარეს.

* * *

სურათზე: თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის ახალგაზრდა მუშების ერთი ჯგუფი დათოვლილ ფერდობებზე სათხილამურო გასეირნების წინ.

ფოტო ვ. გენგიურისა.

### [illegible]

თბილისში, ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ბურევესტნიკი" და ცსკა. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 65 : 58 (30 : 27).

კიევში ადგილობრივმა „სტროიტელმა" დაამარცხა სვერდლოვსკის „ურალმაში" — 65 : 58.

* * *

თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა „ზარია ვოსტოკას" პრიზზე ხელბურთელ ვაჟთა II საერთაშორისო ტურნირის I ტური. შეხვედრები ასე დამთავრდა: სსრ კავშირის სტუდენტთა ნაკრები — პოლონეთი 19 : 17 (8 : 9), იუგოსლავია — ჩეხოსლოვაკია 25 : 19 (11 : 7), უნგრეთი — საქართველო 27 : 25 (11 : 11)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტალის აზრით

როგორც ცნობილია, გაისად გაზაფხულზე დაიწყება ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩები: ბ. სპასკი — ე. გელერი (ორივე — სსრ კავშირი), ბ. ლარსენი (დანია) — ლ. პორტიში (უნგრეთი), ს. გლიგორიჩი (იუგოსლავია) — მ. ტალი (სსრ კავშირი), ვ. კორჩნოი (სსრ კავშირი) — ს. რეშევსკი (აშშ), ლ. შტეინი (სსრ კავშირი) ან ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია).

დიდოსტატ მ. ტალს, რომელიც ამას წინათ ლენინგრადში იყო სტუმრად, მასპინძლებმა ამასთან დაკავშირებით ჰკითხეს: როგორი შედეგებია მოსალოდნელიო?

აი, ტალის პასუხი:

— სპასკი — გელერი. 8 წლის წინათ რიგაში სპასკიმ ადვილად აჯობა გელერს. ამას წინათ გელერმა მოუგო სპასკის. გელერს მატჩებში თამაშის დიდი გამოცდილება აქვს.

ლარსენი — პორტიში. ეს იქნება შეუპოვარი ორთაბრძოლა, რომელშიც ძნელია გამოიცნო გამარჯვებული. მხედველობაში მაქვს ამ ორი დიდოსტატის პირადი შეხვედრები. ძნელია პორტიშის დამარცხება, როცა იგი თეთრი ფიგურებით თამაშობს. შემთხვევითი როდია, რომ სუსში პორტიშმა ტურნირში გამარჯვებულ ლარსენს მოუგო.

გლიგორიჩი — ტალი. ჩემი მეტოქე გამოცდილი და ძლიერი სატურნირო მებრძოლია.

კორჩნოის რთული ამოცანა აქვს. საქმე ისაა, რომ მან ჯერაც არ იცის, ვის უნდა ეთამაშოს მეოთხედფინალურ მატჩში — შტეინს, რეშევსკის თუ ჰორტს. და აი, კორჩნოიმ მანამდე სერიოზულად უნდა შეისწავლოს სამივე მოჭადრაკის პარტიები.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 237
(3467)

7

1967 წ.
დეკემბერი,
ხუთშაბათი
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

## 10 საუკეთესო!

### გაზეთ „ლელოს" საახალწლო კონკურსი

წლევანდელი საიუბილეო წელიწადი დიდი სპორტული მოვლენებით იყო მდიდარი. მათგან ყველაზე მთავარი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადა გახლდათ. გაიმართა, აგრეთვე, მსოფლიოს, ევროპისა და საკავშირო ჩემპიონატები. ამ შეჯიბრებებში საქართველოს ბევრი სპორტსმენი გამოვიდა წარმატებით. და აი, გაზეთ „ლელოს" რედაქცია აცხადებს ტრადიციულ საახალწლო კონკურსს — „საქართველოს 10 საუკეთესო სპორტსმენი".

„ლელოს" მკითხველებს, ქართული სპორტის სპეციალისტებსა და მოყვარულთ ვთხოვთ გაგვიზიარონ თავიანთი მოსაზრებანი — დაასახელონ წლევანდელი სეზონის 10 საუკეთესო სპორტსმენი, რომლებიც საკონკურსო ბარათებში ჩამოთვლილი უნდა იყოს თანმიმდევრულად, სიძლიერის მიხედვით.

წერილების გამოგზავნის ბოლო ვადაა 25 დეკემბერი (საფოსტო შტამპით). კონვერტს უნდა ჰქონდეს წარწერა: „კონკურსისთვის".

ჩვენი მისამართია: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, „ლელოს" რედაქცია.

### საათი!

◆ ბუქარესტი, 6 დეკემბერი. აქ გაიმართა ევროპის რკინიგზელ ფეხბურთელთა ჩემპიონატის განმეორებითი მატჩი: „რაპიდი" (ბუქარესტი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი). გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 4 : 1. რუმინელებმა პირველი თამაშიც მოუგეს მოსკოველებს (2 : 1) და გათამაშების ფინალში გავიდნენ.

◆ მოსკოვი, 6 დეკემბერი. დღეს აქ გაიმართა საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირის ბოლო მატჩი: ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტთა I ნაკრები გუნდები. ეს იყო ცენტრალური თამაში ამ საინტერესო ტურნირისა, რომელიც ამიერიდან ტრადიციულად მოეწყობა. შეხვედრა მასპინძელთა აშკარა უპირატესობით წარიმართა, რასაც მჭევრმეტყველურად ადასტურებს მატჩის შედეგი — 9 : 1. ამრიგად, შეჯიბრებაში I ადგილი დაიკავა სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა, რომელმაც 8 ქულა მოაგროვა (შაიბების ბალანსი — 28 : 7).

◆ ტირანა, 6 დეკემბერი. შუა ევროპის თასის („მიტროპის თასი") მფლობელმა — ადგილობრივი „სპარტაკის" ფეხბურთელთა გუნდმა კარგად აიღო სტარტი ამ პრიზის მორიგ გათამაშებაში: შინ დაამარცხა „რომა" (იტალია) — 2 : 1 (1 : 0).

◆ ბუქარესტი, 6 დეკემბერი. რუმინეთისა და გდრ-ის ფეხბურთელთა ოლიმპიური გუნდების მატჩში გაიმარჯვეს გერმანელებმა — 1 : 0.

◆ იოჰანესბურგი, 6 დეკემბერი. ესპანეთის ჩოგბურთელები დევისის თასის გათამაშების ფინალში გავიდნენ — საზონათშორისო მატჩში მათ დაამარცხეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ნაკრები — 3 : 2. ესპანელთა მეტოქე იქნება „ვერცხლის სასალათეს" ამჟამინდელი მფლობელი — ავსტრალიის გუნდი. ეს შეხვედრა გაიმართება 26-28 დეკემბერს ბრისბენში.

◆ ლიმა, 6 დეკემბერი. თავისი სამხრეთამერიკული ტურნეს პირველი მატჩი მოსკოვის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდმა პერუს დედაქალაქის „ალიანცასთან" გამართა. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 1 : 0. ერთადერთი ბურთი 57-ე წუთზე გუსაროვის ზუსტი მიწოდებით გაიტანა ვშივცევმა.

## 7 ტურის შემდეგ

პალმა (ესპანეთი), 5 დეკემბერი. მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირში გადადებული პარტიების დამთავრებისას სმისლოვმა ზუსტად გამოიყენა უპირატესობა და 54-ე სვლაზე დაამარცხა მედინა (ესპანეთი). ივკოვმა (იუგოსლავია) მოუგო ლემანს (გფრ). წარუმატებლად ითამაშა ბოტვინიკმა, რომელიც 66-ე სვლაზე დანებდა დამიანოვიჩს (იუგოსლავია). VII ტურში ბოტვინიკმა ყაიმით დაამთავრა პარტია ო'კელისთან (ბელგია), ხოლო სმისლოვმა — კორალთან (ესპანეთი). სმისლოვმა თამაშის გაუახლებლად ქულა გაიყო პორტიშთან (უნგრეთი). 7 ტურის შემდეგ ლარსენს 5,5 ქულა აქვს 6-დან, გლიგორიჩს (იუგოსლავია) — 5 ქულა 7-დან, სმისლოვს, ბოტვინიკსა და პორტიშს — 4,5-4,5 ქულა 7-დან.

● ოსლო, 4 დეკემბერი. ხელოვნური ყინულის ადგილობრივ საციგურაო „ვალე ხოვინზე" პირველი საწვრთნელი შეჯიბრება გამართეს ნორვეგიელმა, ფინელმა და დასავლეთგერმანელმა მოციგურავეებმა. შედეგები მაინცდამაინც მაღალი არ იყო, ვინაიდან თერმომეტრი პლუსს უჩვენებდა და ყინული საკმაოდ დალბა. შეჯიბრებაში მონაწილეობდა სახელგანთქმული ფრედ ანტონ მაიერი, რომელმაც დამაჯერებლად გაიმარჯვა 3.000 მეტრზე რბენაში — 4.40,8.

● იდრე (შვეცია), 4 დეკემბერი. გუშინწინ აქ დიდი ინტერესი გამოიწვია მოთხილამურეთა საერთაშორისო შეჯიბრებამ „იდრე ლოპეტმა". ამბობენ, შინ კედლებიც გეხმარებაო, მაგრამ წლევანდელი ზამთრის სეზონის პირველ დიდ რბოლებში მასპინძლებმა წარმატება ვერ მოიპოვეს. შვეციელთაგან საუკეთესო — ლ. ოლსონი II ადგილზე აღმოჩნდა. 18 კილომეტრზე ცოტა მეტი მანძილი მან გაირბინა 1 საათში, 3 წუთსა და 17 წამში. გაიმარჯვა ცნობილმა ნორვეგიელმა მრბოლელმა გ. გჯემა, რომელმაც მეტოქეებზე 13 წამით უფრო სწრაფად დაამთავრა დისტანცია. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ, აგრეთვე, იტალიისა და საფრანგეთის მოთხილამურეები.

● რიგა, 5 დეკემბერი. აქ გრძელდება მოფარიკავეთა საერთაშორისო ტურნირი. რაპირისტ ქალებში საუკეთესო აღმოჩნდა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი იუნიორთა შორის, ბელორუსიელი ე. ნოვიკოვა. მისმა თანამემამულემ, სსრ კავშირის თასის მფლობელმა ი. სმოლიაკოვმა I ადგილისთვის გამართულ დამატებით ორთაბრძოლაში გამარჯვება დაუთმო დამწით მოფარიკავე ქ. დუმკეს (გდრ). ესპადრონისტი და რაპირისტი ვაჟების გუნდური პირველობის ბედი პოლონეთ — გდრ-ის კოლექტივების შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა. I ადგილი ორივე სახეობაში პოლონელებს ხვდათ. III ადგილზე არიან ლატვიის ესპადრონისტები და ესტონეთის რაპირისტები.

● ლენინგრადი, 5 დეკემბერი. საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ჰოკეისტთა საერთაშორისო ტურნირის მატჩში გუშინ აქ ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის II ნაკრები გუნდები. მწვავე ბრძოლა მასპინძელთა სასარგებლოდ დამთავრდა — 3 : 1. ვოსკრესენსკში ამ დღეს სსრ კავშირის I ნაკრებმა დამაჯერებლად მოუგო პოლონელებს — 6 : 1.

### [illegible]

ფეხბურთი

## უცხო კაცი გოვებს კარს

25 ნოემბრის ნომერში „ლელომ" დაბეჭდა გაზეთ „პრავდაში" წინა დღით გამოქვეყნებული ფელეტონი „უცხო კაცი კარში". ფელეტონში ლაპარაკი იყო, რომ ყარაგანდის „შახტიორისა" და კიევის ასკ-ს ფეხბურთელთა გუნდების მატჩის წინა დღით ყარაგანდელთა კაპიტანმა რ. საროუმოვმა გუნდის სახელით მეტოქეთა მეკარე ა. გურბიჩს გადასცა 600 მანეთი (ეს გუნდები, როგორც ცნობილია, „ა" კლასის I ჯგუფში გადასვლისთვის იბრძოდნენ).

28 ნოემბერს ფელეტონი განიხილა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ამგვარი უმსგავსო საქციელი შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმის შედეგად, რომ ამ გუნდებში ჩაშლილია აღმზრდელობითი მუშაობა.

სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ გაათავისუფლა „შახტიორის" უფროსი და უფროსი მწვრთნელი ვ. კოროლკოვი და ჩამოართვა მას სპორტის ოსტატის წოდება. ა. გურბიჩს აეკრძალა საფეხბურთო სარბიელზე ოსტატთა გუნდებში გამოსვლა და ჩამოერთვა სპორტის ოსტატის წოდება. ასეთივე სასჯელი დაედო რ. საროუმოვს.

### თბილისის „დინამო" ირანში

როგორც საკდესის კორესპონდენტი თეირანიდან იუწყება, 5 დეკემბერს აქ მეორე ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ჩაატარეს თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებმა. მათი მოწინააღმდეგე იყო ირანის შარშანდელი ჩემპიონი — საპოლიციო გუნდი „პასი".

მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2. აღსანიშნავია, რომ თბილისელებმა ვერ შეძლეს ძირითადი მეკარის რ. ურუშაძის გამოყვანა, რომელმაც წინა შეხვედრაში ხელი იტკინა.

# ერის ჯანმრთელობისთვის ზრუნავდნენ

## 1900 - 1917 წლების ქართული პედაგოგიური აზროვნება

### სასკოლო ფიზიკური აღზრდის შესახებ

სასკოლო პროგრამებში ფიზიკურ აღზრდას უფრო ფართო მოცულობით და სისრულით ითვალისწინებდნენ ლ. ბოცვაძე, ი. ფერაძე, ა. ჭიჭინაძე და სხვ.

ა. ჭიჭინაძე საქმეს პრაქტიკულადაც უწყობდა ხელს. გ. ბუტაევი თავის სადისერტაციო შრომაში აღნიშნავს, რომ ჭიჭინაძე, როგორც ერევნის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორი, მოითხოვდა თამაშობანი და ვარჯიშები ორგანიზებულად ჩატარებულიყო დიდ დასვენებაზე, მოეწყოთ გასეირნებანი ქალაქგარეთ და ა. შ. (როცა სკოლებში ტანვარჯიში საერთოდ არ ტარდებოდა).

ა. ჭიჭინაძის შეხედულებანი სასკოლო ფიზიკური აღზრდის საკითხზე გამოთქმულია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კავკავის ქართული სკოლის 1897 წლის რევიზიის ანგარიშში. ჭიჭინაძე მოითხოვდა, რომ მოსწავლეები გაეწვრთნათ როგორც გონებრივად, ისე ფიზიკურად; გაეცნოთ მათთვის ბუნება და ჩაენერგათ შრომისმოყვარეობა ცხოვრებაში გამოსადეგ სხვადასხვა საქმიანობაში. „საჭიროა აღზრდა, აღზრდა გონებით, ზნეობით, მიმართულებით და ფიზიკურად და არა მექანიკურად... ყოველთვის თავის დროზე გაუმართონ ხოლმე მოწაფეებს სხვადასხვა თამაშობანი და ავარჯიშონ ფიზიკურად". — წერდა იგი.

უფრო საინტერესოა მეორე დებულება, სადაც ავტორი მასწავლებლებისგან მოითხოვს, რომ ისინი „ყმაწვილთა გონებრივის, ზნეობრივის და ფიზიკურის განვითარებისთვის ზრუნვის დროს არ უნდა კმარობდნენ მხოლოდ დადგენილი პროგრამების შესრულებას, არამედ უნდა ხმარობდნენ სხვა ზომებსაც უკეთესის შედეგების მისაღწევად სწავლა-აღზრდის საქმეში". ეს ისეთი გულითადი, ადამიანური სურვილია, რომელიც მხოლოდ ჭეშმარიტ პედაგოგს შეიძლება გაუჩნდეს.

ა. ჭიჭინაძეს ასევე სასარგებლოდ მიაჩნდა ექსკურსიები, ბაღ-ბოსტანში მუშაობა, აბრეშუმის ჭიისა და ფუტკრის მოვლა, ხელსაქმე ქალებისთვის და ა. შ. (არქივში დაცული ამ ანგარიშის არსებობაზე მიგვითითა დოც. ზ. კიკნაძემ).

ამ შეხედულებათა მიხედვით ა. ჭიჭინაძე სასკოლო ფიზიკური აღზრდისა და, საერთოდ, სწავლა-აღზრდის საკითხებში თავისი დროის მოწინავე, პროგრესულ პედაგოგთა რიგებში დგება.

ი. ფერაძე წერილში — „სპორტის მნიშვნელობა სხეულისა და სულის განვითარებისთვის" („განათლება", 1911, № 5) სპორტს ორ ჯგუფად ყოფდა: მის მოძრავ სახეებად თვლიდა ტანვარჯიშს, ჭიდაობას, კრივს, ფარიკაობას, რბენას, ხტომას, ოჩოფეხებით სიარულს, ცურვას, ნაოსნობას, კროკეტს, ჩოგბურთს, ბურთაობას, ნადირობას, ცხენოსნობას, ციგაობას და სხვ., უძრავ სახეებად კი — ბაღოსნობას, სიძველეთა მასალების შეკრებას, ჭადრაკს, დომინოს, ნარდს და სხვ.

ცხადია, ავტორის ამ მოსაზრებას მთლიანად ვერ დავეთანხმებით, მაგრამ ფერაძე სავსებით სწორია, როცა აღნიშნავს, რომ „მოძრავი სპორტი" ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლას და ჯანმრთელობის საწინდარია, რომ მას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო სხეულის, არამედ გრძნობა-გონების განვითარებისთვისაც. იგი განსაკუთრებით უსვამს ხაზს, რომ სპორტული ბრძოლა კეთილსინდისიერი ბრძოლაა, მოკლებულია სარგებლობისა და შეძენისთვის ზრუნვას და აკეთილშობილებს ადამიანის ხასიათს, უმტკიცებს მას თავისი თავისადმი რწმენას, მატებს გამბედაობასა და სითამამეს, უნერგავს ვაჟკაცობას. ავტორი მიუთითებს ინგლისის მაგალითს, სადაც დიდი ყურადღება ექცეოდა სპორტს და სათანადო შედეგებიც ჰქონდათ მოპოვებული. ჩეხები, — აღნიშნავს ფერაძე, — მას შემდეგ, რაც „შევარდენთა" ტანვარჯიშულ საზოგადოებებში გაერთიანდნენ, თანდათან გათავისუფლდნენ გერმანელთა ხანგრძლივი ბატონობის უღლისგანო.

იგი გულისტკივილით შენიშნავს, რომ ადრე სპორტი ასევე დიდად იყო განვითარებული საქართველოშიც, მაგრამ შემდეგ დაეცა პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვის გამო; ამასთან, ავტორი შესაფერ ადგილებს იშველიებს შოთა რუსთაველის პოემიდან, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ნიკოლოზ ბარათაშვილის ნაწარმოებებიდან; წერს, რომ საქართველოსთვის, ქართველებისთვის, არსებულ პირობებშიც საჭიროა სიმხნე-სივაჟკაცე. ადვილი მისახვედრია, რომ ი. ფერაძე ჩეხეთის მაგალითზე მეფის რუსეთისგან საქართველოს განთავისუფლებაზე ოცნებობდა.

წერილში „ჭაბუკთა ფიზიკური აღზრდა" („განათლება", 1911, № 8) ი. ფერაძე ვრცლად ეხება მოსწავლეთა სასკოლო ფიზიკურ აღზრდას. როგორც ვაჟების, ისე ქალებისთვის, იგი მოითხოვს, რომ ყველა მოსწავლე წინასწარ შემოწმდეს ექიმის მიერ, თუ რამდენად მიზანშეწონილია მისი ვარჯიში. ავტორი განსაკუთრებით მომხრეა ზომიერების დაცვისა ვარჯიშის დროს, რათა სხეული არ გადაიღალოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, — წერს იგი, — ვარჯიშს, სარგებლობის მაგიერ ზიანის მოტანა შეუძლიაო. ავტორი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ფიზიკურ ვარჯიშში ასაკისა და სქესის თავისებურებათა გათვალისწინებასაც.

სკოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკისთვის ი. ფერაძეს მიზანშეწონილად მიაჩნია თამაშობანი სიმღერით, უმცროსი კლასების მოსწავლეთათვის კი — თავისუფალი ვარჯიში და თამაშობანი. საშუალო სკოლის უფროსი კლასების მოსწავლეებისთვის (15 წლის ასაკიდან), მისი აზრით, ტანვარჯიშული იარაღების გამოყენება შეიძლება, ოღონდ „ჯამბაზური" ვარჯიშები არ არის საჭირო. ავტორი მიზანშეუწონლად მიიჩნევს ისეთ ვარჯიშებს, რომლებიც არაბუნებრივია, მოსწავლის ინტერესსა და სიყვარულს არ იწვევს და ძალდატანებით სრულდება. ამ კატეგორიას ფერაძე მიაკუთვნებს სამხედრო ვარჯიშებსაც. იგი საერთოდ და განსაკუთრებით ვარჯიშის დროს, მომხრეა ჰიგიენურ მოთხოვნათა (სუფთა ჰაერი, სინათლე, ზომიერი სითბო, ტანსაცმელი, ვარჯიში სადილის წინ და არა შემდეგ) დაცვისა.

ი. ფერაძის აზრით, კარგია სეირნობა, მთამსვლელობა, საბავშვო დღესასწაულების გამართვა (ოღონდ ჯილდოები არაა საჭირო. მისი აზრით, ეს ბავშვებში შურსა და სხვა უარყოფით შედეგებს იწვევს), თამაშობები, ტანვარჯიში, ველოსიპედით („ბორბალფეხით") სიარული, თხილამურებითა და ციგურებით სრიალი, ცურვა; სასურველად მიაჩნია, რომ ცეკვას არ ასწავლიდნენ სხვა დარგში ხელმოცარულნი, რომლებიც ვერც ამ საქმეს ეკიდებიან სათანადო პასუხისმგებლობით.

საინტერესოა წერილი „ქალთა ხელსაქმე: დიასახლისობა, ხელოსნობა, პრაქტიკული მეცადინეობა" („განათლება", 1912, № 1), სადაც ფერაძე მართებულად აღნიშნავს, რომ სკოლაში ხელოსნობას და ხელსაქმეს ორი დიდი უპირატესობა აქვს: ხელს უწყობს კუნთების განვითარებას და მრავალფეროვნება შეაქვს სკოლის ცხოვრებაში. ავტორის აზრით, თავისუფალი და იარაღებზე ვარჯიში ძალიან სასარგებლოა ფიზიკური განვითარებისთვის, კიდევ უფრო სასარგებლოა ხელოსნობა. ავტორი ასეთივე მნიშვნელობას ანიჭებს თამაშობებსაც. ასეთი დაპირისპირება სწორი არ არის, მაგრამ სამართლიანია მოთხოვნა, რომ ხელოსნობის სხვადასხვა დარგში მუშაობის დროს დაცული იქნეს ჰიგიენის წესები: მოსწავლის სწორი დგომა (წელში მოხრილი არ უნდა იყოს), ღრმად სუნთქვა, სუფთა ჰაერი, რომ თვით სამუშაო, სამუშაო დაზგა და ხელსაწყოები ბავშვის ასაკსა და სიმაღლეს შეეფერებოდეს.

წერილში — „ბავშვის ფიზიკური აღზრდა" („განათლება", 1911, № 7) ი. ფერაძე წერს, რომ ბავშვის სხეულის გამაგრებას დაბადებიდანვე უნდა მიექცეს ყურადღება. იგი განსაკუთრებით აღნიშნავს ხშირად დაბანის, ცურვის და, საერთოდ, წყლის მნიშვნელობას ამ მხრივ. ავტორი აღნიშნავს, რომ აუცილებელია ჰიგიენურ მითითებათა და კვების რეჟიმის დაცვა, ზომიერი ძილი, არ გვირჩევს ბავშვებისთვის ხორციანი საჭმელის დაძალებას და სხვ.

პრინციპულად სწორად უნდა ჩაითვალოს მისი დებულება, რომ „ყოველი ფიზიკური ვარჯიშობა, თუ მას ბოროტად ხმარობენ, მავნებელია". ასევე სწორია მისი აზრი სულით ძლიერი და ჯანით მაგარი ახალგაზრდების აღზრდის აუცილებლობის შესახებ.

წერილში რამდენიმე სადავო დებულებაა. მაგალითად, ფერაძის აზრით, არ ვარგა, რომ გოგონებს უყვართ თოკზე ხტომა (ალბათ, სახტუნელას გულისხმობს.— ზ. შ.) იმ მოტივით, ვითომც „ეს თამაშობა მეტად არყევს ტვინს და სტომაქის შინაგან ნაწილებს". ფერაძეს გათვალისწინებული აქვს სქესი და ასაკი, ფიზიკური ვარჯიშისა და დატვირთვის დოზა, რასაც ყველა შემთხვევაში ზომიერების ფარგლებში მოითხოვდა მხოლოდ. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ფიზიკური აღზრდის ეთიკურსა და ესთეტიკურ მხარესაც, ამასთან, ფიზიკური აღზრდის ძირითად ფორმად მიაჩნდა ფიზიკური აღზრდის გაკვეთილი, დამხმარედ კი — კლასგარეშე მეცადინეობა. იგი შედარებით იშვიათად იძლევა მეთოდური ხასიათის მითითებებს, სამაგიეროდ, სრულყოფილი სახით აქვს წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდის საშუალებანი.

ფიზიკური აღზრდის ძირითად საშუალებად ი. ფერაძეს მიაჩნია „სხვადასხვა მოძრაობანი და ვარჯიშობანი", რისთვისაც აღიარებს თითქმის ყველა სახის „დადებით" სპორტს, ტანვარჯიშს, თამაშობებს (აქედან ცალკე მიუთითებს „თამაშობებს სიმღერითურთ" საბავშვო ბაღისა და უმცროსი კლასების მოსწავლეთათვის), ტურიზმს, ე. ი. თითქმის ყოველივე იმას, რასაც აღიარებს თანამედროვე საბჭოთა ფიზიკური აღზრდის თეორია.

მისთვის ფიზიკური აღზრდის მიზანი და ამოცანაა მოზარდის ყოველმხრივი განვითარება, ძვალ-კუნთოვანი და ნერვული სისტემის გამაგრება, გაღონიერება და „ფიზიკური ჯანის სისაღის დაცვა", ხასიათის განმტკიცება, გამბედაობისა და ვაჟკაცობის აღზრდა, მაღალი ზნეობრივი და პატრიოტული თვისებებით აღჭურვა, ნაყოფიერი შრომისთვის მომზადება და, ბოლოს, მთელი ამ სიკეთის გზით საკუთარი ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობის, პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მოპოვება.

ი. ფერაძის ამ ზოგადი საფუძვლებიდან ნაწილი მისი საკუთარია, ნაწილი ჩამოყალიბებულია არსებულ თეორიულ და მეცნიერულ მონაცემებზე დაყრდნობით, ნაწილი კი გადმოკეთებული და ზოგჯერ პირდაპირ გადმოღებულიცაა ე. წ. თავისუფალი თარგმანის სახით, რასაც თვითონვე მიუთითებს. მაგრამ ასეა თუ ისე, მან ერთ-ერთმა პირველმა შეძლო ასე ფართო მასშტაბით მიეწოდებინა ქართველი მკითხველისთვის ის მოწინავე და პროგრესული შეხედულებანი, რაც კი იმდროინდელ სასკოლო ფიზიკურ აღზრდას გააჩნდა საერთოდ (იგი ფიზიკურ აღზრდას ხოტბას ასხამდა ჯერ კიდევ 1892-1893 წლების „მწყემსის" ფურცლებზე).

რა თქმა უნდა, ამ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის ლ. ბოცვაძეს, რომელმაც ასე ფართოდ დაუთმო ადგილი ფერაძის ზემოდასახელებულ წერილებს თავის ჟურნალში — „განათლება".

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფერაძის ამ წერილების დედააზრი ნაწილობრივად გამოყენებული და განვითარებული უნდა ჰქონდეს თვით ბოცვაძეს თავის 1917 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში — „ფიზიკური აღზრდის მნიშვნელობა", რომელსაც ავტორი „გადმოკეთებულს" უწოდებს (ამაზე ქვემოთ).

ი. ფერაძის წერილს — „სპორტის მნიშვნელობა სხეულისა და სულის განვითარებისთვის" — მხარი დაუჭირა ერთ-ერთმა ავტორმა „ბარდღას" ფსევდონიმით. უკანასკნელმა თავის მხრივ წამოაყენა საკითხი ე. წ. „საოჯახო გიმნასტიკის" დანერგვის სასარგებლოდ, რაც წერილსაც უწოდა სათაურად. ავტორი განსაკუთრებული დაბეჯითებით მოუწოდებდა სუნთქვითი ვარჯიშების გამოყენებას, ჰაერის აბაზანების მიღებას 15-30 წუთის ხანგრძლიობით და ა. შ., რაც ნამდვილად აძლიერებს სისხლის მოძრაობას და ნივთიერებათა ცვლას.

იგივე ავტორი წერილში — „ფიზიკური ვარჯიშობის სარგებლობა" („განათლება", 1912, № 8), წერდა, რომ სულიერ აღზრდასთან ერთად დიდად სასარგებლოა ფიზიკური აღზრდაც. იგი მომხრეა სპორტისა, წყლის აბაზანებისა (შხაპი) და თვითმასაჟისა. ავტორი ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით იმოწმებს ლესგაფტის, იგნატიევის, ვირხოვის, თარხნიშვილის, ლაგრანჟის, ფრებელის და სხვათა ავტორიტეტს. იგი გულისტკივილით შენიშნავს, რომ ადრინდელი და მისი თანამედროვე გიმნასტიკა განისაზღვრებოდა კვირაში ნახევარი-ერთი საათით უსისტემო და უპრინციპო, ამასთან, მტვრიან ოთახში ვარჯიშით.

ავტორი აღნიშნავს, რომ სულ უფრო იზრდება სამხედრო სამსახურში გასაწვევად უვარგისთა რიცხვი. ამას იგი ფიზიკური ვარჯიშისა და სპორტისადმი უარყოფითი და უკულტურო დამოკიდებულებით ხსნის.

ავტორი შედარების საფუძველზე აღნიშნავს, რომ რუსეთი ჩამორჩებოდა ევროპის ცალკეულ სახელმწიფოებს სპორტულ საზოგადოებათა და მათი წევრების რაოდენობის მხრივაც. საერთოდ მას მიაჩნდა, რომ ფიზიკური ვარჯიში არა თუ მარგებელი და აუცილებელია, არამედ „რაც ადრე იქნება იგი — მით უკეთესი!" („განათლება", 1911, № 6).

ა. ბალარჯიშვილი თავის წერილში ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მშობლები დიდ ყურადღებას უნდა აქცევდნენ ჰიგიენის საკითხებს, მიუთითებდა, რომ სკოლის მიზანს შეადგენს მოსწავლეთა ყოველმხრივი, ჰარმონიული აღზრდა. იგი, როგორც ამას პროფ. ს. სიგუა შენიშნავს, ყურადღებას ამახვილებდა, რომ ფიზიკურ აღზრდაზე დიდად არის დამოკიდებული უმაღლესი ნერვული სისტემის განვითარება; რომ ფიზიკური აღზრდა „გავლენას ახდენს პიროვნების ყველა სხვა მხარის განვითარება-ფორმირებაზე" და ა. შ.

**ზ. შერაზადიშვილი,**
პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო" № 223.

# ეს იყო ამობრწყინება

*1951 წელს მინსკის „დინამოს" სტადიონზე ჩვენი ქვეყნის მძლეოსანთა მორიგი ჩემპიონატი გაიმართა. ეს ფოტოსურათიც სწორედ იმ დროსაა გადაღებული, როცა 200 მეტრზე ფინალური რბენის მონაწილე ქალები ფინიშთან მიიჭრნენ. წინა პლანზე ხედავთ ნადეჟდა დვალიშვილს (ხნიკინას), რომელმაც მაშინ ამ დისტანციაზე 25,2 წამი აჩვენა და ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა. მანამდე ნადეჟდამ დაისაკუთრა ყველაზე ძვირფასი მედალი 100 მეტრზე რბენაში, შემდეგ კი სიგრძეზე ხტომაში სცადა ძალა და „ვერცხლი" მოიხვეჭა.*

*მაშინ ნადია 17 წლისა იყო, პირველ დიდ წარმატებას კი 14 წლისამ მიაღწია: 1948 წლის ივლისში, თბილისში, მოსწავლეთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაში გოგონათა 2 საკავშირო რეკორდი დაამყარა — 100 მეტრი 12,6 წამში გაირბინა, 200 მეტრზე კი 26,7 აჩვენა. ბოლო შედეგი საქართველოს ქალთა ახალი რეკორდიც იყო.*

*იმავე წლის დამლევს ნადეჟდამ სპორტის ოსტატის ნორმატივიც შეასრულა — მოზრდილთა რესპუბლიკურ ჩემპიონატში 559 სმ სიგრძეზე გადახტა და გოგონათა ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა. მაგრამ ნადია ამას როდი დასჯერდა. სსრ კავშირის რეკორდების ცხრილში 15 წელს უცვლელი იყო გ. ტუროვას მაჩვენებელი სიგრძეზე ხტომაში (580 სმ). რეკორდს ამაოდ უტევდა ყველა — რეკორდსმენიც და მისი მეტოქენიც, მაგრამ ამ შედეგის გაუმჯობესება კი არა, გამეორებაც ვერავინ შეძლო. და აი, სარბიელზე გამოჩნდა დვალიშვილი და ოქტომბრის 32-ე წლისთავს სიგრძეზე ხტომაში ახალი საკავშირო რეკორდი (582) მიუძღვნა.*

*ნადეჟდა ბევრს ვარჯიშობდა და კარგადაც სწავლობდა. დაუღალავი გოგონა ყველაფერს ასწრებდა. საშუალო სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა. ახლაც იტყვის ხოლმე: სპორტი ხელს კი არ მიშლიდა, პირიქით, მეხმარებოდაო.*

*დვალიშვილის პირველი საერთაშორისო შეჯიბრება მსოფლიოს სტუდენტთა თამაშები იყო ბერლინში. იქიდან დაბრუნებული, პირდაპირ მინსკის საკავშირო ჩემპიონატში ჩაება და მაშინ აღიარებულ ოსტატებთან — ე. სეჩენოვასთან, ს. მალშინასთან (სურათზე დვალიშვილის ზურგს უკან მისი სახე ჩანს) და სხვებთან ბრძოლაში ოქროს მედალი მოიხვეჭა.*

*შემდეგ ბუქარესტი: რუმინელმა მძლეოსნებმა ქვეყნის ღია ჩემპიონატში საასპარეზოდ მიიწვიეს მეგობრები სსრ კავშირიდან, უნგრეთიდან, გდრ-იდან, პოლონეთიდან, ბულგარეთიდან. 100 მეტრზე რბენის ფინალში ნადეჟდასთან ერთად გამოდიოდნენ სეჩენოვა, მალშინა, საფრონოვა, დიარმატი (უნგრეთი), [illegible] (გდრ) და სხვ. მეტოქენი 50 მეტრს მხარდამხარ მირბოდნენ. შემდეგ ნადია დაწინაურდა და გაიმარჯვა. მისი შედეგი, ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა — 11,7.*

*იმავე, 1951 წელს, დვალიშვილმა გააუმჯობესა ჩვენი ქვეყნის რეკორდი 200 მეტრზე რბენაში, 4×200 მეტრზე ესტაფეტაში კი მსოფლიო რეკორდის ერთ-ერთი ავტორი გახდა. მანვე მსოფლიოში საუკეთესო შედეგი აჩვენა 60 მეტრზე რბენაში — 7,3.*

*ნადეჟდამ შემდეგ წლებშიც ბევრჯერ უსახელებია თავი, ბევრი რეკორდი დაუმყარა. დვალიშვილის რეკორდები 100 (11,7) და 200 მეტრზე (24,1) რბენაში (ბუქარესტსა და კლსბონში დამყარებული) დღესაც უცვლელია უფროსი ასაკის ქალიშვილების საკავშირო მიღწევათა ცხრილში.*

*სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. დვალიშვილი ახლა საქართველოს მოსწავლე-მძლეოსანთა ნაკრების უფროსი მწვრთნელია.*

**ძველი ფოტოსურათები მოგვითხრობენ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პინგ-პონგი?

## შენიშვნები მაგიდის ჩოგბურთზე

„პინგ-პონგი". დღეს ეს სიტყვა ცოტა უცნაურად ჟღერს. თანამედროვე „პინგ-პონგი" გახლავთ თამაში, რომელიც სპორტსმენისაგან ელვისებურ რეაქციას, დიდ ამტანობასა და ნამდვილ ათლეტიზმს მოითხოვს. ალბათ ამიტომაა, რომ ჩვენ უკვე აღარ გვეძახიან „პინგპონგისტებს", ჩვენ მაგიდის ჩოგბურთის ოსტატები ვართ.

მახსოვს სსრ კავშირის ნაკრების დებიუტი 1961 წლის მსოფლიო პირველობაში და იაპონელი მწვრთნელის ხასეგავას სიტყვები: „რუსების სტილი მალე მოუტანს მათ გამარჯვებას ევროპაში, შემდეგ კი აზიის ჩოგბურთელებსაც დაემუქრება". იაპონელი მწვრთნელის სიტყვები წინასწარმეტყველური გამოდგა. დღეს ჩვენ აზიაშიც ანგარიშს გვიწევენ.

2,5 მილიონი — ეს მცირე ჩოგნის ოსტატთა მხოლოდ ორგანიზებული არმიაა. ახლა რამდენი „უჩინარი" თაყვანისმცემელი ჰყავს ამ თამაშს? რაოდენობის ხარისხში გადასვლის კანონი ჩვენს სახეობაშიც მოქმედებს და ეს 1967 წელმაც დაამტკიცა.

ამას წინათ უნგრეთის ნაკრების მწვრთნელს ი. უილაკის ველაპარაკე. მაგიდის ჩოგბურთის საბჭოთა სკოლა საუკეთესოა ევროპაში. ჩვენს ქვეყანაში წარმატებით ვიყენებთ ჩოგბურთელთა მომზადების საბჭოთა სისტემასო, მითხრა უნგრელმა მწვრთნელმა.

1967 წლის მთავარი მოვლენა სტოკჰოლმის მსოფლიო ჩემპიონატი იყო. მისი შედეგები ცნობილია: სსრ კავშირის ქალთა გუნდი ვერცხლის პრიზიორია, ზ. რუდნოვა — პირადი ასპარეზობის ბრინჯაოს პრიზიორი; სულ ცოტა და, ოქროს მედლებს მოიხვეჭდნენ ს. გომოზკოვი და ა. ამელინი. გადამწყვეტ, მეხუთე პარტიაში ანგარიში მათ მიჰყავდათ 15:9. ყველა ამ მიღწევას შეიძლება ერთი საერთო სიტყვაც გამოვუნახოთ — „პირველად". შემთხვევითი იყო თუ კანონზომიერი საბჭოთა ოსტატების წარმატება მსოფლიო ჩემპიონატში?

ვფიქრობ, ეს შემთხვევითი არ იყო. ჩვენი ნაკრები მშვიდად ემზადებოდა. ასპარეზობის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე გაირკვა შემადგენლობა, რომელსაც სტოკჰოლმში უნდა ებრძოლა. ნერვიული ატმოსფერო, რაც მუდამ თან ახლავს ოფიციალური შეჯიბრებისთვის მზადებას, ახლა არ იგრძნობოდა. ნაკრების მოთამაშეები კონკურენციაზე არ ფიქრობდნენ, თამამად ატარებდნენ ექსპერიმენტებს, არ ეშინოდათ ამხანაგურ შეხვედრებში წაგებისა.

ნაკრების მზადებას კიდევ ერთი დამახასიათებელი თავისებურება აქვს: ადრე ამ პერიოდში ჩვენ ვხვდებოდით მხოლოდ ევროპელ ჩოგბურთელებს, რომლებიც ან ჩვენზე სუსტად თამაშობდნენ, ან ჩვენსავით. ეფექტური სარგებლობა არც გამარჯვებას მოჰქონდა, არც მარცხს. წლეულს კი ჩავატარეთ ერთობლივი წვრთნა კორეელ და იაპონელ სპორტსმენებთან. არც ისე დიდი ხანია მას შემდეგ, რაც „ამომავალი მზის ქვეყნის" სპორტსმენები ათას მიზეზს იშველიებდნენ და თავაზიან უარს გვეუბნებოდნენ შეხვედრაზე. ჩვენ კი ვიცოდით, რომ იაპონელებს არ აინტერესებდათ ჩვენთან თამაში. ახლა სხვა საქმეა: იაპონელები არათუ ჩვენს მოწვევას იღებენ, არამედ სიხარულითაც გვმასპინძლობენ. მაგალითად, მათ მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრებისთანავე მიიწვიეს სსრ კავშირის ნაკრები თავის ქვეყანაში ამხანაგური შეხვედრების გასამართავად. მიგვიწვიეს და დარწმუნებული ვარ, რაღაც ისწავლეს კიდეც ჩვენგან. ს. გომოზკოვმა ორჯერ დაამარცხა მსოფლიოს ახალი ჩემპიონი ხასეგავა მის „მინდორზე". ეს არნახული შემთხვევაა.

ამ შეხვედრების მნიშვნელობა ცხადია. აზიელი სპორტსმენები ევროპელებისაგან განსხვავებული მანერით თამაშობენ — ჩოგანი კალამივით უჭირავთ. მსოფლიო პირველობის დღეებში ძალიან ძნელი იყო ამის შეჩვევა, რაც გულდასაწყვეტ მარცხს იწვევდა. მაგრამ რამდენიმე ამხანაგური მატჩის შემდეგ ჩვენი სპორტსმენები შეეჩვიენ ბურთის სწრაფ ტრიალს — იაპონელებისა და კორეელების ჩვევას.

მსოფლიო პირველობის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე სსრ კავშირის ნაკრებმა რიგაში ჩაატარა მატჩი იაპონიის ვაჟთა და ქალთა გუნდებთან (მომავალ მსოფლიო ჩემპიონებთან) და გაიმარჯვა. ვაჟებმა მოიგეს ანგარიშით 5:1, ქალებმა — 3:0. როგორც გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ვ. ივანოვმა თქვა, ამხანაგურმა შეხვედრებმა „დიდი სამსახური გაგვიწია ფსიქოლოგიური მომზადების მხრივ. ეს შეხვედრები სპორტსმენებს უნერგავს საკუთარი შესაძლებლობის რწმენას, ურომლისოდაც დიდ სპორტში ბრძოლა სისულელეა".

ახლა საბჭოთა სპორტსმენებს ორი დიდი კოზირი აქვთ. ჯერ ერთი, ჩვენი კოლექტივი მსოფლიოს ბევრ გუნდზე ახალგაზრდულია და, მეორეც, საბჭოთა სპორტსმენები თამაშის ყველაზე თანამედროვე ტექნიკას ფლობენ. დიახ, 1967 წლის ნაკრები ახალგაზრდაა. ვაჟთა გუნდის ლიდერი გომოზკოვი 19 წლისა არც კია. იგი ყველა თანამედროვე ტექნიკურ ხერხს ფლობს. გომოზკოვის დარტყმა მარცხნიდან მაგიდის ჩოგბურთის სპეციალისტების შესწავლის საგნად იქცა. მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა, იაპონიის ნაკრების მწვრთნელმა ოგიმურამ დიდი დრო შეალია სტანისლავის ამ დარტყმის ფირზე გადაღებას. ჩვენი ნაკრების ლიდერი საერთაშორისო ფედერაციამ პირველად აღიარა ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ. იგი მსოფლიოს უძლიერესთა ხუთეულშია.

ნაკრების ორი სხვა მოთამაშე სტანისლავზე ოდნავ უფროსია. ანატოლი, ამელინი და სარქის სარხოიანი 21 წლისანი არიან. მათი ავტორიტეტი საერთაშორისო სარბიელზე საკმაოდ დიდია. ანატოლი კონტინენტის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორია, სარქისმა ვერცხლის მედალი დაიმსახურა გუნდურ შეჯიბრებებში.

ზოია რუდნოვა და სვეტლანა გრინბერგი ქალთა გუნდის ძირითადი მოთამაშეები არიან. ზოიამ ჩინებულად აითვისა თამაშის აზიური მანერა. მას შეუძლია გაუმკლავდეს ყველა მეტოქეს ყოველგვარ შეჯიბრებაში. მაგალითად, რიგაში რუდნოვამ იაპონიის ნაკრების ყველა მოთამაშეს მოუგო, მსოფლიო პირველობაში კი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. 23 წლის კიეველი სპორტსმენი გრინბერგი ევროპის პირველობის ვერცხლის პრიზიორია. იგი უნივერსალური მოთამაშეა. სწრაფი იერიშების უეცარი ტალღა მშვიდ დაცვას ენაცვლება, რთული გადაცემა — მრისხანე თანამედროვე იარაღს „ტოპ-სპინს".

ლიდერებს უკან ნიჭიერი ახალგაზრდობის დიდი რაზმი დგას. ესენი არიან ერევნელი გ. ვარდანიანი, ომსკელი გ. სტრელნიკოვი, რიგელი უ. ევლიტისი, ოდესელი გალინა ერემენკო და სხვ. წლეულს ჩვენებმა ღირსეულად ჩააბარეს გამოცდა ჭაბუკთა ტურნირში (დანია), მერე კი საბჭოთა ოსტატებმა მეხუთედ დაისაკუთრეს „ბუქარესტის თასი" — მთავარი პრიზი გუნდური გამარჯვებისთვის.

ეჭვი არ არის, საბჭოთა მაგიდის ჩოგბურთი სწორ გზაზე დგას. ბევრი გაკეთდა, ბევრი მოვიპოვეთ. მაგრამ ჩვენი ნაკლიც კარგად გვახსოვს. ოფიციალურად ჯერჯერობით ევროპაშიც კი არა ვართ აღიარებული უძლიერესებად. მაგიდის ჩოგბურთს დიდი ჩოგბურთის სქემით თამაშობენ: გადაცემა — დარტყმა — ქულის მოგება. ამასთან, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სისწრაფეს. თამაშის სისწრაფით ჩვენ ვჯობნით ევროპელ ჩოგბურთელებს, მაგრამ ტექნიკური ხერხების შესრულება ამ სისწრაფით ჯერ კიდევ გვიჭირს. საბჭოთა ჩოგბურთელების თამაშში ჯერ კიდევ იგრძნობა ტექნიკური წუნი.

იერიში თანამედროვე მაგიდის ჩოგბურთის მთავარი იარაღია. მაგრამ რაოდენ პარადოქსულადაც უნდა მოგეჩვენოთ, მსოფლიოში ჯერ კიდევ ბევრია დაცვითი სტილის მიმდევარი. დარწმუნებული ვარ, ეს სტილი უკანასკნელ დღეებს ითვლის, მაგრამ სანამ არსებობს, მას ანგარიში უნდა გავუწიოთ. თამაში იმ მეტოქესთან, რომელიც ღრმა დაცვას იყენებს, ყველას როდი შეუძლია. უძლიერესი საბჭოთა ოსტატები ახლა თითქმის სულ შემტევ სტილში თამაშობენ. და როცა ოფიციალურ შეხვედრებში ყრუ დაცვას წააწყდებიან, ზოგჯერ იბნევიან ხოლმე. საქმე ის კი არ გახლავთ, რომ მაგიდის ჩოგბურთის „კუდელი" დაუძლეველია. არა, ჩვენს მარცხს უმთავრესად ის იწვევს, რომ გამოცდილება არ გვყოფნის ასეთი დაცვის წინააღმდეგ თამაშისა.

ცოტაც და, დავემშვიდობებით 1967 წელს. წელიწადს, რომელმაც სიხარული უფრო მეტი მოგვიტანა, ვიდრე გაწბილება. მაგრამ ხომ ცნობილია, რომ ძნელი გავლილი კი არა, გასავლელი გზაა. დიახ, 1968 წელი დიდი საჩოგბურთო შეჯიბრებების წელია. და მთავარი მიზანი, რომელსაც გაისისთვის საბჭოთა ჩოგბურთელები ისახავენ მიზნად, ევროპული ოქროა.

**გ. ავერინი,**
სპორტის ოსტატი.

---

### სსრ კავშირის პირველობა კალათბურთში

# მოგებაც შეიძლებოდა

თბილისი. სპორტის სასახლე. 5 დეკემბერი.

„ბურევესტნიკი" (თბილისი) — ცსკა 59 : 61 (30 : 29).

„ბურევესტნიკი": კოვალენკო, გლურჯიძე, ლეჟავა, ჯუღელი, ლომაძე (თამაშში მონაწილეობდნენ, აგრეთვე, საკანდელიძე, მაისურაძე).

ცსკა: ნესტეროვი, სელიხოვი, კოვალიოვი, კულკოვი, კაპრანოვი (ტრავინი, ასტახოვი, მედვედევი).

მსაჯები: ა. ტუაევი, გ. სმოლენგო (ორივე — ვოლგოგრადი).

არმიელთა მთავარი საზრუნავი ამ მატჩში კოვალენკოს უვნებელყოფა იყო. ერთი პერსონალური დარაჯი მის ნეიტრალიზებას, რა თქმა უნდა, ვერ შეძლებდა. ამიტომაც ტანმაღალ კოვალიოვს დამხმარედ კაპრანოვი გამოუყვეს, რომელიც შემდგომში ჯერ კულკოვმა შეცვალა, მოგვიანებით კი ასტახოვმა. და მაინც, კოვალენკოს პრობლემა პრობლემად დარჩა. საკმარისი იყო ბურევესტნიკელებს დროულად და ზუსტად მიეცათ მისთვის ბურთი, გუნდი იმავ წამს 2 ქულას იღებდა. სამწუხაროდ, თბილისელთა ცენტრალური თავდამსხმელი ეფექტურად ვერ მარაგდებოდა ბურთებით და ამიტომაც, ხშირად თავისივე პარტნიორების მიზეზით, თამაშიდან გამოთიშული იყო.

ცსკა-მ ძლიერი შთაბეჭდილება ვერ დატოვა. მან, მართალია, შეხვედრა მოიგო, მაგრამ საწინააღმდეგო შედეგიც ასევე კანონზომიერი იქნებოდა. უბრალოდ, „ბურევესტნიკის" ახალგაზრდულ შემადგენლობას გამოცდილება არ ეყო!

არმიელებმა პირველი ტაიმი წააგეს. შესვენების შემდეგ თამაშის სადავეები ხელთ იგდო ვეტერანმა ტრავინმა, რომლის გამოცდილებას და მაღალ ტექნიკასაც უნდა უმადლოდეს გუნდი ამ გამარჯვებას.

25-ე წუთზე სტუმრებმა შესამჩნევი დანაკლისი გაიცადეს — 5 პერსონალური შეცდომისთვის მოედანი დატოვა კოვალენკოს პერსონალურმა დარაჯმა კოვალიოვმა. მისი ადგილი დაიკავა მინსკიდან ამას წინათ ცსკა-ში გადასულმა მედვედევმა. შეცვლა სრულფასოვანი არ გამოდგა და ამას შესაძლოა გადამწყვეტი როლიც ეთამაშა, მაგრამ ამ მომენტისთვის არმიელები შეხვედრას 10-ქულიანი უპირატესობით იგებდნენ, „ბურევესტნიკის" საბრძოლო სული კი ილეოდა.

ძნელია მასპინძლებს უსაყვედურო ეს დამარცხება. კიდევ მეტიც, სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონთან 2 ქულით წაგება საპატიოცაა, მაგრამ თამაშის მსვლელობამ ცხადყო, რომ „ბურევესტნიკს" შეეძლო შეხვედრის ბედის შემობრუნება. ამისთვის საჭირო იყო სპორტული იღბალი და... დრო. გაიხსენეთ მატჩის ბოლო წუთები, სტუდენტთა თავგამეტებული, აზარტული შეტევები და აშკარად დაბნეული არმიელები, რომლებიც ხსნას მხოლოდ მსაჯის საფინალო სასტვენში ხედავდნენ. „ბურევესტნიკს", ჭადრაკის ენით რომ ვთქვათ, ხელსაყრელ პოზიციაში ალამი ჩამოუვარდა.

აი, ვინ რამდენი ქულა მისცა თავის კოლექტივს ამ შეხვედრაში: ცსკა: — ტრავინი — 15, კაპრანოვი — 13, ნესტეროვი — 11, კოვალიოვი — 8, სელიხოვი — 6, კულკოვი — 4, ასტახოვი — 2, მედვედევი — 2; „ბურევესტნიკი": კოვალენკო — 18, ლეჟავა — 16, ჯუღელი — 13, ლომაძე — 4, მაისურაძე — 4, საკანდელიძე — 2, გლურჯიძე — 2.

**ნ. ბუბუშვილი.**

• • •

**სურათზე:** თბილისელთა ცენტრალური თავდამსხმელი ს. კოვალენკო აგვირგვინებს შეტევას.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

**რიგა, 5 დეკემბერი.** დღეს აქ გათამაშების ერთ-ერთი ლიდერი — ადგილობრივი ვეფ-ი შეხვდა ლენინგრადის „სპარტაკს". გაიმარჯვეს სტუმრებმა—78:69.

---

# „პასუხი..." ფეხბურთის მოყვარულებს

თელავის რაიონის სოფლების — ჯუღაანისა და ნაფარეულის ფეხბურთის მოყვარულ ახალგაზრდებს აინტერესებთ ასეთი საკითხი: „საჯარიმო მოედანზე ბურთის ხელით შეჩერებისას, თუნდაც ბურთი კარში არ იყოს დარტყმული და უბრალოდ მოწოდებული იქნას საჯარიმო მოედანში, ინიშნება თუ არა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა?"

— არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ბურთის მიმართულებას: კარშია იგი დარტყმული, თუ კარის გასწვრივ. თუ რომელიმე მოთამაშე თავისი საჯარიმო მოედნის ფარგლებში განზრახ შეეხო ხელით ბურთს, მსაჯი ვალდებულია დანიშნოს პენალტი.

• • •

თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტმა ლ. პაქსაშვილმა შემდეგი შეკითხვები გამოუგზავნა რედაქციას.

1. მსაჯმა მინდვრიდან გააძევა ფეხბურთელი, მაგრამ შემდეგ მიხვდა, რომ შეცდა. აქვს თუ არა მას უფლება დააბრუნოს მოთამაშე მინდორზე?

2. მსაჯმა ჩათვალა გოლი, რის შემდეგ თამაში განახლდა. აქვს თუ არა მას უფლება აღარ ჩაუთვალოს გუნდს ეს გოლი?

3. პენალტის დარტყმისას ფეხბურთელმა ბურთი მიაწოდა პარტნიორს საჯარიმო მოედნის გარეთ. ამ უკანასკნელმა გაიტანა იგი კარში. იმყოფება თუ არა პენალტის შემსრულებელი ფეხბურთელი „თამაშგარე" მდგომარეობაში?

4. ვთქვათ, გუნდმა შეცვალა ტრავმირებული მეკარე, მაგრამ მეორე მეკარეც დაშავდა და აღარ შეუძლია კარის დაცვა. შეიძლება თუ არა ამ მეკარის გამოყენება როგორც მინდვრის მოთამაშისა და კარში მინდვრის მოთამაშის ჩადგომა?

— პირველ ორ კითხვას ერთნაირი პასუხი აქვს. თუ მსაჯმა თამაში განაახლა, მას აღარა აქვს უფლება შეცვალოს ადრინდელი გადაწყვეტილება.

3. თუ პენალტის დამრტყმელმა ბურთი პარტნიორს წინ მიაწოდა, ეს ნებადართულია. თუ ბურთი მოწოდებულ იქნა უკან, პენალტის შემსრულებელი მოთამაშე უკვე თამაშგარე მდგომარეობაში ითვლება.

4. მეკარესა და მინდვრის მოთამაშეს შორის ადგილების ცვლა შეიძლება, მაგრამ ამის თაობაზე მსაჯი დროზე უნდა იქნას გაფრთხილებული.

• • •

„პენალტიდან დარტყმული ბურთი მეკარემ მოიგერია. მას მიუსწრო პარტნიორმა და მიუგორა ბურთი მეკარეს. მაგრამ ამ უკანასკნელმა ვერ მიუსწრო ბურთს და გაუშვა იგი კარში. გოლია?" ასეთი შეკითხვა მოვიდა რედაქციაში სოფ. ნიგვზიანიდან შ. შუშერიძისგან.

— რა თქმა უნდა, გოლია. ეს იგივე შემთხვევაა, რაც თამაშის დროს საკუთარ კარში გატანილი ბურთი.

• • •

გ. ბალავაძეს და დ. ცომაიას (ქუთაისი) აინტერესებთ ასეთი საკითხი: „კუთხურის მომწოდებელმა მოთამაშემ ბურთი მოახვედრა კარის ძელს. ბურთი დაბრუნდა უკან ისე, რომ არ შეხებია არც ერთ სხვა მოთამაშეს. კუთხურის მომწოდებელმა ხელახლა დაარტყა და გაიტანა ბურთი. გოლია თუ არა?"

— არა. კუთხური მოწოდების შემდეგ, ისევე, როგორც ყველა სხვა საჯარიმო და თავისუფალი დარტყმისას, ბურთი აუცილებლად უნდა მოხვდეს სხვა რომელიმე მოთამაშეს, სულ ერთია, მოწინააღმდეგე იქნება ეს, თუ პარტნიორი. მხოლოდ ამის შემდეგ აქვს დამრტყმელს უფლება ხელმეორედ შეეხოს ბურთს.

• • •

ნ. მგელაძეს (თბილისი) ასეთი შეკითხვები აქვს:

1. ვთქვათ, მსაჯმა დანიშნა 11-მეტრიანი და იმავე წამს ამოიწურა თამაშის დრო. შესრულდება თუ არა დარტყმა?

2. შეიძლება თუ არა განაცხადის წარდგენისას ფეხბურთელი დასახელებულ იქნას მეკარედ და ითამაშოს წინ, მისი ადგილი კარში კი დაიკავოს მინდვრის მოთამაშემ?

3. შეიძლება თუ არა 11-მეტრიანი დარტყმა შეასრულოს მეკარემ?

— თუ მატჩის დრო ამოიწურა, პენალტი მაინც სრულდება. ინიშნება მხოლოდ ერთი დარტყმა.

— განაცხადს არა აქვს მნიშვნელობა. მეკარედ ითვლება ის, ვინც თამაშის დასაწყისიდან დგას კარში და აცვია სხვა მოთამაშეთაგან განსხვავებული ფორმა.

— 11-მეტრიანი დარტყმის შესრულება შეუძლია მეკარესაც. ამის შემთხვევები ოფიციალურ შეჯიბრებებშიც ყოფილა.

• • •

სოფ. სალხინოს საშუალო სკოლის მოსწავლე მ. მარიმილი მოგვმართავს ასეთი წერილით:

„ფეხბურთის მოყვარული ვარ და მაინტერესებს, ჩათვლება თუ არა გოლად მოწინააღმდეგის მიერ დარტყმული ბურთი, რომელიც ხელში მოხვდა მცველს და მიმართულება შეცვლილად გაფრინდა კარში, თუ ეს პენალტია?"

— ბურთის მიმართულების შეცვლას არა აქვს არავითარი მნიშვნელობა. თქვენს მიერ აღწერილი შემთხვევა არის გოლი.

# „მხიარულმა დელფინმა" სეზონი დაამთავრა

ამას წინათ თბილისის „დინამოს" აუზში გაიმართა „მხიარული დელფინის" რესპუბლიკური შეჯიბრების IV ეტაპი. ბრძოლაში ჩაებნენ ნორჩი დინამოელის, „განთიადის", „შრომითი რეზერვების", „ლოკომოტივისა" და თბილისის განათლების განყოფილების გუნდები.

მონაწილენი ახლაც ოთხ ასაკობრივ ჯგუფად (9-10, 11-12, 13-14 და 15-16 წლისანი) იყვნენ დაყოფილი და ცურვის გარდა საერთო ფიზმომზადებაშიც ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. გამარჯვებულად ითვლებოდა ის, ვინც საბოლოოდ ყველაზე მეტ ქულას მოაგროვებდა. საერთო ფიზმომზადების პროგრამაში შედიოდა ადგილიდან სიგრძეზე ხტომა, სირბილი და ბურთის ორი ხელით ტყორცნა. გამონაკლისს შეადგენდნენ მხოლოდ 9-10 წლისანი, რომლებიც სირბილში არ მონაწილეობდნენ.

ტურნირში 24 საპრიზო ადგილი გათამაშდა. აქედან 10 ადგილი დინამოელებმა მოიპოვეს, 6 — „განთიადის", 4-4 — „შრომითი რეზერვებისა" და განათლების განყოფილების სპორტსმენებმა. „ლოკომოტივის" მოცურავეთა მომზადების დონე იმდენად დაბალი იყო, რომ მათ ვერც ერთი საპრიზო ადგილის დასაკუთრება ვერ შეძლეს. უფრო მეტიც, ცურვაში წარუმატებლობის შემდეგ ისინი მძლეოსანთა შეჯიბრებაში აღარ ჩაებნენ. საერთოდ, მძლეოსნობას 100-მდე მონაწილემ აარიდა თავი. ეს ნიშნავს, რომ ნორჩი სპორტსმენების საერთო ფიზმომზადებას ბევრგან სათანადო ყურადღება არ ეთმობა.

ყველაზე კარგი იყო 15-16 წლის ბიჭებში მოასპარეზე მ. ქათამაძე (განათლების განყოფილება), რომელმაც კარგი შედეგი აჩვენა 50 მეტრზე ბრასით ცურვაში (33,5), 800 მეტრზე სირბილში (2.12,0), ადგილიდან სიგრძეზე ხტომაში (280 სმ). მან 4-კილოგრამიანი ბურთი 11,10 მეტრზე ტყორცნა, საბოლოოდ 2152 ქულა მოაგროვა და პირველობა დაისაკუთრა (პირველ ეტაპზე ქათამაძე საპრიზო სამეულში ვერ მოხვდა).

საქებარია ჯ. ჩაბაკაურიც („შრომითი რეზერვები"). იგი ერთი საფეხურით დაბალ (ასაკით) ჯგუფში გამოდიოდა და კარგი შედეგები აჩვენა: 50 მეტრი ბულალმა 31,3 წამში გაცურა, 500 მეტრი 1 წუთსა და 26 წამში გაირბინა, სიგრძეზე ხტომაში 265 სმ დაძლია, 2-კილოგრამიანი ბურთი კი 10,20 მეტრზე გადააგდო.

განთიადელმა გოგონამ ს. ოტიაშვილმა 1430 ქულა მოაგროვა და 60 ქულით აჯობა II ადგილზე გასულ მ. ყულიჯანოვას („დინამო"). ოტიაშვილი ფიზიკურად ძლიერი სპორტსმენია. მან 2-კილოგრამიანი ბურთი 10,08 მეტრზე გადააგდო, 215 სანტიმეტრზე გადახტა, 300 მეტრის გარბენას კი 54 წამი მოანდომა. „განთიადის" წარმომადგენელს არც 50 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში შეურცხვენია თავი — 33,3. სხვათა შორის, ოტიაშვილმა პირველ ეტაპზე II ადგილი დაიკავა საერთო ფიზმომზადებაში, ახლა კი ცურვაში წინა ეტაპთან შედარებით 2,4 წამით გააუმჯობესა მაჩვენებელი. ეს მოწმობს, რომ მისი სახით უდავოდ ნიჭიერი სპორტსმენი იზრდება.

ა. ბურასაშვილი.

სურათზე: მ. ქათამაძე ასპარეზობის შემდეგ.

ფოტო ავტორისა.

„მხიარული დელფინის" IV ეტაპის პრიზიორთა ტექნიკური შედეგები ასეთია:

**9-10 წლის ბიჭები:**

გ. პრისიაჟნიუკი („შრომითი რეზერვები") — 1036 ქულა.
თ. ბახუტაშვილი (ნორჩი დინამოელი) — 981.
ს. მაკაროვი (ნორჩი დინამოელი) — 880.

**გოგონები:**

რ. მიქაძე (ნორჩი დინამოელი) — 873.
ი. პერახოვა („განთიადი") — 854.
ა. კონდრატიუკი („განთიადი") — 845.

**11-12 წლის ბიჭები:**

ი. საპრიკინი („შრომითი რეზერვები") — 1760.
ს. არუთინოვი (ნორჩი დინამოელი) — 1580.
დ. სირაძე (ნორჩი დინამოელი) — 1194.

**გოგონები:**

ს. ნუკიბიშვილი (ნორჩი დინამოელი) — 1136.
ზ. ოსოიანი („განთიადი") — 1126.
ი. ზარგარიანი (ნორჩი დინამოელი) — 1111.

**13-14 წლის ბიჭები:**

ჯ. ჩაბაკაური („შრომითი რეზერვები") — 2108.
გ. ჯეჯელავა (ნორჩი დინამოელი) — 2019.
პ. ზუბი („განთიადი") — 1939.

**გოგონები:**

ს. ოტიაშვილი („განთიადი") — 1430.
მ. ყულიჯანოვა (ნორჩი დინამოელი) — 1370.
ტ. კალუცკაია (განათლების განყოფილება) — 1335.

**15-16 წლის ბიჭები:**

მ. ქათამაძე (განათლების განყოფილება) — 2152.
თ. წყაროველი („შრომითი რეზერვები") — 1888.
მ. ცქიტიშვილი (განათლების განყოფილება) — 1680.

**გოგონები:**

ს. შარკოვა („განთიადი") — 1490.
ი. ეფიმოვა (განათლების განყოფილება) — 1480.
ლ. ოსიპოვა (ნორჩი დინამოელი) — 1416.

# ფეხბურთის მერიდიანებზე

ბუენოს-აირესი, 5 დეკემბერი. საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი — ადგილობრივი „რესინგი" (არგენტინა) გაისად უკვე ველარ შეძლებს წლევანდელი ბრწყინვალე წარმატების გამეორებას: იგი მეტისმეტად უხეიროდ თამაშობს თავისი ქვეყნის წლევანდელ ჩემპიონატში — 16 გუნდში XIII ადგილი უჭირავს. „რესინგს" სათამაშო დარჩა 2 მატჩი, მაგრამ მათი მოგებაც არ უშველის საქმეს. „რესინგი" ვერ შევა არგენტინის იმ ორი გუნდის რიცხვში, რომლებიც ამ ქვეყნის ღირსებას დაიცავენ სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატში. როგორც ცნობილია, ამ ტურნირის უძლიერესი გუნდი მოიპოვებს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში გამარჯვებულთან საკონტინენტთაშორისო თასის ფინალში შეხვედრის უფლებას.

ბუდაპეშტი, 5 დეკემბერი. უეფა-ს ტურნირის — ევროპის იუნიორთა ამ არაოფიციალური ჩემპიონატის ფინალურ ეტაპში მონაწილეობის უფლება მოიპოვა უნგრეთის ნაკრებმა, რომელმაც მეორე მატჩში ანგარიშით 4:0 დაამარცხა რუმინეთის გუნდი (პირველი მატჩი თავიანთ მინდორზე რუმინელებმა მოიგეს — 2:1).

კარლ-მარქს-შტადტი, 5 დეკემბერი. უეფა-ს ტურნირის ფინალურ ეტაპში თამაშის უფლება მოიპოვა აგრეთვე გდრ-ის ახალგაზრდულმა ნაკრებმა, რომელმაც აქ ანგარიშით 3:0 მოუგო მატჩი პოლონელებს (ამ გუნდების პირველი შეხვედრა ვარშავის ახლოს მდებარე ქალაქ ურსუსში პოლონელთა სასარგებლოდ დამთავრდა — 3:2).

კურიტიბა (ბრაზილია), 5 დეკემბერი. წარუმატებლად დაიწყო ტურნე სამხრეთ ამერიკაში უნგრეთის ნაკრებმა. მან ანგარიშით 0:1 წააგო პირველი შეხვედრა ადგილობრივ გუნდთან.

ტოკიო, 5 დეკემბერი. გაზეთ „ასახის" ტრადიციულ ტურნირში სასპარეზოდ აქ ჩამოსულმა ცსკა-ს ფეხბურთელებმა ამხანაგური შეხვედრა გამართეს იაპონიის ნაკრებთან. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 3:1.

## მოკლედ

- **ალჟირი.** დეკემბრის ბოლო რიცხვებში აქ დაიწყება საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ „ნაპოლი" (იტალია), „სენტ-ეტიენი" (საფრანგეთი), ზაგრების „დინამო" (იუგოსლავია) და ალჟირის ეროვნული ნაკრები.



# სიკვდილთან თამაში

ასეთი სათაური ჰქონდა ამ სურათებით ილუსტრირებულ წერილს, რომელიც დასავლეთგერმანულმა ჟურნალმა „ბუნტე ილიუსტრირტემ" გამოაქვეყნა.

„სპორტსმენმა, — წერს ჟურნალი, — მოტოციკლი დაძრა. მძიმე მანქანა საშინელი გრიალით დაქრის ზღვის ზედაპირზე გაკიდებულ ფიცრებზე, შემდეგ სპორტსმენიცა და მანქანაც 20-მეტრიანი ქვის კედლიდან აქაფებულ ზღვაში ეშვებიან. მძღოლს ხელები აღუმართავს. რამდენიმე წამიც და, იგი თავის მანქანასთან ერთად ტალღებში ქრება.

რა მოხდა? თურმე ყოფილ მოტომრბოლელს პატრიკ ბერნარს ახლა კიდევ უფრო სახიფათო ხელობა აურჩევია, ვიდრე პროფესიულ რბოლებში მონაწილეობაა. ფულის სიყვარულით ბერნარი კინოს სამსახურში ჩადგა: სახიფათო კადრების გადაღებისას მსახიობებს ცვლის.

ამჯერად ყოფილ სპორტსმენს ბედმა გაუღიმა — ცოცხალიც გადარჩა და ბლომად ფულიც ჩაიჯიბა.

„პატრიკ ბერნარი, — შენიშნავს იგივე „ბუნტე ილიუსტრირტე", — მემკვიდრეა უბედური შემთხვევის დროს დაღუპული ჟილ დელამარისა. სახიფათო მემკვიდრეობაა..."

# 27 მატჩი... მოუგებლად

საფრანგეთის ნაკრებს დიდი შანსები აქვს მოხვდეს ევროპის ჩემპიონატის დასკვნით ნაწილში, სამისოდ მან 22 დეკემბერს არ უნდა წააგოს თავის მინდორზე ლუქსემბურგის გუნდთან.

მაგრამ ფრანგი ფეხბურთელები, რომლებიც მტკიცედ იბრძვიან ოფიციალურ ტურნირებში, პირდაპირ უმწეონი არიან ამხანაგურ მატჩებში. თავიანთი ბოლო ამხანაგური თამაში ფრანგებმა მოიგეს... 1966 წლის 14 მარტს ჩილიელებთან (6:0). ამ დროიდან მოყოლებული „სამფეროვანთა" გუნდმა გამართა 27 ამხანაგური მატჩი, აქედან 18 ფრედ დაამთავრა და 9 წააგო!

ფეხბურთი

## მოკლედ

- **ბუენოს-აირესი.** დიდი მოულოდნელობაა ორი ცნობილი არგენტინელი მოთამაშის — მეკარე რომას და თავდამსხმელი როჰასის გადაწყვეტილება აშშ-ს პროფესიონალურ გუნდებში გადასვლის შესახებ. არგენტინის ფეხბურთის ფედერაციამ განაცხადა, რომ სამუდამოდ უკრძალავს რომას და როჰასს არგენტინაში თამაშს.
- **მადრიდი.** ცნობილი ბრაზილიელი მწვრთნელი ო. გლორია, რომელიც მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატში პორტუგალიელებს ედგა სათავეში, ახლა ძალიან უკმაყოფილოა თავისი ახალი გუნდის — მადრიდის „ატლეტიკოს" თამაშით („ატლეტიკო" ესპანეთის პირველობას ლიდერობს. — **რედ.**). მან განაცხადა, რომ ხელშეკრულების დამთავრების შემდეგ დაუყოვნებლივ დატოვებს ესპანეთს.
- **ლონდონი.** ინგლისის ფეხბურთის ფედერაციამ ერთი თვით აუკრძალა თავისი ფუნქციების შესრულება ლონდონის „ჩელსის" მენეჯერს ტ. დოჰერტის, რომლის გუნდი ბერმუდის კუნძულებზე ჩატარებულ ტურნირში არასპორტულად იქცეოდა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

საქართველოს სპორტკავშირი, ველოსპორტის რესპუბლიკური ფედერაცია და გაზეთ „ლელოს" რედაქცია იუწყებიან სპორტის ოსტატ

**ჯემალ ნიკოლოზის ძე ზანდუკელის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

## თბილისის სპორტულ ასპარეზზე

**ხელბურთი.** სპორტის სასახლე. 7-11 დეკემბერი. ვაჟთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „ზარია ვოსტოკას" პრიზზე. 7 დეკემბერი: 18 ს. ჩეხოსლოვაკია—უნგრეთი; 19 ს. 15 წ. სსრ კავშირი — იუგოსლავია; 20 ს. 30 წ. საქართველო — პოლონეთი. 8 დეკემბერი: 17 ს. პოლონეთი — ჩეხოსლოვაკია; 18 ს. 15 წ. იუგოსლავია — უნგრეთი; 19 ს. 30 წ. სსრ კავშირი — საქართველო.

**კალათბურთი.** სპორტის სასახლე. ვაჟთა გუნდების საკავშირო პირველობა. „ა" კლასი, „დინამო" (თბილისი) — ცსკა. დასაწყისი: 8 დეკემბერს — 21 საათზე, 9 დეკემბერს — 20 საათზე. 8 დეკემბერს ხელბურთზე შესასვლელი ბილეთები ვარგისია კალათბურთზე დასასწრებლადაც.

**ცურვა.** საქართველოს სპორტკავშირის ზამთრის დახურული აუზი (ვაკე). 7-9 დეკემბერი. თბილისის უმაღლესი სასწავლებლების პირველობა. დასაწყისი 16 ს. 30 წ.

ИНДЕКС 66448.
საქ. ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
8
უე 11227